UDC 338.48
SCOPUS CODE 1409
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-103-113

ტურიზმის დადებითი და უარყოფითი შედეგების შეფასების ასპექტები

ნოდარ გრძელიშვილი — ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 69ᵃ
E-mail: regioni.ge@yahoo.com

ლაურა კვარაცხელია — ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 69ᵃ
E-mail: kvlaura@mail.ru

რეცენზენტები:

ნ. ჭითანავა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
E-mail: n.chitanava@gtu.ge

ი. არჩვაძე სტუ-ის ი. ჟორდანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის მთავარი სპეციალისტი, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი
E-mail: daswreba@yahoo.com

ანოტაცია. ტურიზმის განვითარების დადებითი და უარყოფითი ეფექტების ანალიზი და შეფასება მნიშვნელოვანი ფაქტორია. მომსახურების მოცემული სფერო არსებით გავლენას ახდენს მიმღები ტერიტორიების ეკოლოგიურ გარემოსა და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

გაანალიზებულია ტურიზმიდან მიღებული ძირითადი დადებითი და უარყოფითი შედეგები როგორც რეგიონების გარემოზე, ისე ზემოქმედების სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებზე. განხილულია გარემოზე ტურიზმის ზეგავლენა. ჩატარებული კვლევების საფუძველზე დასკვნის სახით წარმოდგენილია კონკრეტული რეკომენდაციები, რომელთა რეალიზაციამ შეიძლება შეამციროს ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის უარყოფითი შედეგები. მოცემული რეკომენდაციების ძირითადი შინაარსი მდგომარეობს საკურორტო-რეკრეაციული ტერიტორიების ეფექტიან მართვაში, ტურისტების ქცევის რეგულირებაში, სანიტარიული ნორმებისა და წესების დაცვაში ტურისტულ-რეკრეაციული მომსახურების ბაზრის მონაწილეთა მიერ.

საკვანძო სიტყვები: გარემო; დესტინაცია; მდგრადი განვითარება; მიმღები ტერიტორია; ნეგატიური შედეგები; რეკრეაცია; სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი; ტურიზმი.

შესავალი

ტურისტულ-რეკრეაციული სფერო მგრძნობიარეა ბუნებრივი გარემოს ცვლილების მიმართ, ვინაიდან სწორედ ბუნებრივი რესურსებია ტერიტორიების მიმზიდველობის ძირითადი ფაქტორი მონახულებისა და მასობრივი მოთხოვნილებისთვის. ტურიზმი შეიძლება დახასიათდეს, როგორც რთული სოციალურ-ეკონომიკური ფენომენი და საქმიანობის ინტეგრალური სახეობა ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური რთული ურთიერთდაკავშირებული ეფექტებით. ტრადიციულად მიღებულია ტურიზმის დადებითი ზეგავლენის განხილვა მიმღები ტერიტორიების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, თუმცა აუცილებელია ასევე შეფასდეს უარყოფითი შედეგებიც, რომლებიც მნიშვნელოვანია.

ძირითადი ნაწილი

ტურიზმის უარყოფით და დადებით გავლენაზე მეცნიერებაში ჩამოყალიბდა რამდენიმე შეხედულება. სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით პირობითად გამოყოფილ **პირველ ჯგუფს** შეიძლება მიეკუთვნოს ტურიზმი, როგორც საქმიანობის რთული სახეობა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივი და ანთროპოგენური გარემოს ურთიერთკავშირს და ქმნის საწყის ბუნებრივ-რესურსულ პოტენციალს, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის ინფრასტრუქტურის განვითარების წინაპირობაა და გადაჰყავს სიცოცხლის ციკლის შემდგომ ფაზაში, დეგრადაციასა და სრულ დასუსტებამდე (დაქვეითებამდე) შემდგომი აღდგენის შესაძლებლობით [1; 2].

სამეცნიერო ნაშრომების **მეორე ჯგუფი** ტურიზმს განიხილავს როგორც საქმიანობას, რომელიც აზიანებს გარკვეული ტერიტორიის ბუნებრივ გარემოს და ბიოლოგიურ წონასწორობას, გარკვეული ტერიტორიებისა და დასვენების ადგილების მონახულების მოთხოვნილებების გაფართოების პირობებში. ტურიზმი უნდა ეფუძნებოდეს წონასწორობის, რესურსების გადაჭარბებული გამოყენებისა და ბუნებრივი გარემოს დაბინძურების დაუშვებლობის პრინციპებს ანუ დაცული უნდა იყოს მდგრადი განვითარების პრინციპები, რაც საკმაოდ რთული ხდება პოპულარული კურორტებისა და დესტინაციებისთვის. ბუნებრივი გარემოს ბალანსის დაცვის ოპტიმალური პირობების მიღწევა უნდა ეფუძნებოდეს ტერიტორიული განვითარების, ფინანსური კონტროლისა და ეკოლოგიური მაჩვენებლების მონიტორინგის ეფექტიან სტრატეგიულ მართვას. მონიტორინგის პროცესში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რომლებზეც პირდაპირაა დამოკიდებული ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზარალის მოცულობა [3;4].

ქვეყნებისა და რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ტურიზმის გავლენა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო [5]:

1. ტურიზმი მსოფლიო ეკონომიკის ყველაზე აქტიური და დინამიკურად განვითარებადი სექტორია, მნიშვნელოვანი წილი უკავია მსოფლიოს

მთლიან ეროვნულ პროდუქტში, იზიდავს მსოფლიო ინვესტიციების დაახლოებით 7%, ხელს უწყობს დიდი რაოდენობით სამუშაო ადგილების შექმნას და უმეტესობა ქვეყნების საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა;

2. ტურიზმი დადებითად მოქმედებს ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელოვან სახეობებსა და სოციუმზე. მაგრამ, მიუხედავად მისი ეკონომიკური მიმზიდველობისა, ტურიზმი არ არის განვითარებული მთელ რიგ ქვეყნებსა და რეგიონებში, სადაც მიმდინარეობს სამხედრო, რელიგიური, ეთნიკური კონფლიქტები;

3. ტურიზმი ფლობს ღრმა და მრავალწახნაგოვან სოციალურ მდგენელს. საზოგადოების თანამედროვე განვითარების ეტაპზე იგი მოწოდებულია გადაჭრას სოციალური პრობლემები: შეასრულოს მოთხოვნილებების ფართო სპექტრი, მოახდინოს თანამედროვე საზოგადოების საერთო განათლებისა და კულტურული დონის ფორმირება, აქტიურად შექმნას და გააფართოოს ეთნიკური, სახელმწიფოთაშორისი და კულტურათაშორისი ურთიერთობები, დასვენების ორგანიზება და მომხმარებლის სასიცოცხლო ძალებისა და ჯანმრთელობის აღდგენა.

ტურიზმის წარმატებული განვითარებისთვის აუცილებელია აქტუალური პრობლემების გადაჭრა, ბუნებრივი გარემოს კეთილსასურველი მდგომარეობის შენარჩუნების პრობლემის ჩართვით, ტურიზმის ინდუსტრიის შემდგომი დადებითი განვითარებისთვის. ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების სურვილს მივყავართ მატერიალური წარმოების ტემპების სწრაფ ზრდასთან. მატერიალური წარმოების ზრდა აუცილებლად იწვევს ბუნებრივი რესურსების დიდი ნაწილის დაბრუნებას მაღალტოქსიკური ნარჩენების სახით, რომლებიც პრაქტიკულად არ გამოდგება უტილიზაციისთვის. ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის დარგის, ქიმიური მრეწველობის, ტრანსპორტის სწრაფმა განვითარებამ მძიმე დაზიანება გამოიწვია – ბუნებრივი ლანდშაფტის, ნიადაგის, წყლის, ჰაერის გაჭუჭყიანება, დაბინძურება ყველანაირი ნარჩენებით. ანთროპოგენური საქმიანობის შედეგები აქტიურად ვლინდება ბუნებრივი რესურსების გამოფიტვაში, ბუნებრივი ეკოსისტემების დარღვევაში, ნიადაგის ზედაპირის სტრუქტურისა და ჩვენი პლანეტის კლიმატის ცვლილებაზე.

გარემოს დაცვის გაძლიერების მიზნით აუცილებელია შემცირდეს გარემოში ტრანსპორტის გამონაბოლქვის რაოდენობა. ტურისტული მომსახურებისთვის გამოყენებული ტრანსპორტის თითქმის ყველა სახეობა გარკვეულ საშიშროებას ქმნის ბიოსფეროს სხვადასხვა კომპონენტისთვის. ყველაზე მძიმე ანთროპოგენური დატვირთვები წარმოიშობა ყველაზე მეტად მოთხოვნადი ტრანსპორტის ორი სახეობის – საჰაერო და საავტომობილო – ექსპლუატაციის შედეგად. მსოფლიო ტურისტულ პრაქტიკაში ტრანსპორტის ნაკადები განაწილებულია შემდეგნაირად: ჰაერით ტურისტული გადაზიდვების წილი შეადგენს 44%, საავტომობილო ტრანსპორტით - 41%, რკინიგზით - 8% და საწყლოსნო ტრანსპორტით - 7%.

საქართველოში კი საერთაშორისო ვიზიტორების ვიზიტები საზღვრების ტიპის მიხედვით 2023 წლის მონაცემებით შემდეგნაირადაა განაწილებული: საჰაერო–31%, სახმელეთო–68%, სარკინიგზო – 0,4 %, საზღვაო – 0,5 %.



ბევრ ქვეყანაში მოქმედებს კანონები, რომლებიც ზღუდავს გარემოს გაჭუჭყიანებას საავტომობილო ტრანსპორტით.

აუცილებელია ხაზი გაესვას ტურისტული პროდუქტის მაქსიმალური სარგებლიანობის გაგების განსაკუთრებულობას, რაც ეხება ტურისტის ადგილსამყოფელს და მიმღებ ქვეყანას, რომელშიც ის ჩამოვიდა, როგორც ტურისტულ-რეკრეაციული მომსახურების მომხმარებელი. ეს განსაკუთრებულობა განსაზღვრულია გარე ეფექტებით, რომლებსაც ასევე უწოდებენ „გადავსების ეფექტებს“. ისინი იყოფა დადებით და უარყოფით ეფექტებად. დადებითი ეფექტები შეიცავს [6]:

მოსახლეობის დასაქმების დონის ზრდა;

- მოსახლეობის შემოსავლების მატება;
- ტურიზმთან დაკავშირებული დარგების განვითარება;
- მოსახლეობის კულტურული და საგანმანათლებლო დონის ამაღლება;
- ყველა დონის ბიუჯეტის შევსება;
- ტერიტორიული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ტერიტორიის საინვესტიციო მიმზიდველობის გაზრდა.

უარყოფითი ეფექტები შეიცავს:

- გარემოზე გაზრდილი ზემოქმედება;
- საგზაო ქსელზე მომატებული დატვირთვა;
- ნაყოფიერი მიწების (სარეკრეაციო ზონები) გადაცემა მშენებლობისთვის;
- ხალხმრავლობა, ხმაური, გარემოს დაბინძურება, ფასების ზრდა და სხვა.

სად და როგორ ხდება ტურიზმის მიერ გამოწვეული ზემოქმედება, დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, რომელთა შორის შეიძლება დასახელდეს ტურიზმის ფორმები, ტურისტული მიმართუ-

ლებები, ტერიტორიებისა და ღირსშესანიშნაობების გამტარუნარიანობა. ეს განსაზღვრავს ტურიზმის ზემოქმედების ინტენსიურობას, მოცემული ფაქტორებისა და მოვლენების გავლენის ხანგრძლივობასა და ხარისხს. ძირითადად, ზემოქმედების ინტენსიურობა და მრავალფეროვნება, გამოწვეული საქმიანობის მოცემული სახეობით, ჩნდება მომსახურების გაწევის ფორმების მრავალფეროვნებისა და ტურისტული ნაკადების გარკვეული მიმართულებებისგან. ორგანიზებული ტურიზმით გამოწვეული ზემოქმედება უფრო სუსტია ინდივიდუალურ ტურიზმთან შედარებით, თანაც დამოკიდებულია საკურორტო-რეკრეაციული ტერიტორიების მართვის სისტემების ხარისხზე.

ზოგიერთ მიმღებ ტერიტორიასა და რეგიონს, მაგ., კლიმატურ კურორტებს ქალაქური დასახლების სტატუსით შეუძლია მოემსახუროს დიდი რაოდენობის ვიზიტორსა თუ ტურისტს, რადგან აქვს ადეკვატური ორგანიზაციული სტრუქტურა და განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ტურისტების განსათავსებლად.

სანაპირო და მთის რაიონები უფრო მოწყვლადია, ვინაიდან სეზონის დროს ტურისტული ნაკადების ზეწოლა მატულობს 2–3-ჯერ და მეტჯერაც და ხშირად აჭარბებს ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობას. მსოფლიოს ზოგიერთი ისტორიული ობიექტი ძალიან მოწყვლადი გახდა და შეიძლება დაინგრეს ან დეგრადაცია განიცადოს ტურისტული ჯგუფების დიდი ნაკადების გამო. ამან გამოიწვია ღირსშესანიშნაობების ნაწილობრივი ან სრული დახურვა მომნახულთა მიერ, გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების გამო (პარფენონი ათენის აკროპოლში, ათენის ეკლესია, ტუტანჰამონის აკლდამა ეგვიპტეში და ა.შ.). ევროპის მოსახლეობა მასობრივმა ტურიზმმა გადაღალა, რაც ხალხის უკმაყოფილებას იწვევს. საპროტესტო ტალღამ არაერთ ქვეყანას გადაუარა, მათ შორის ტურისტებისთვის ძალიან მიმზიდველ ქვეყნებს - ესპანეთს, იტალიას, საბერძნეთსა და საფრანგეთს. ხალხი ხელისუფლებისგან ტურისტული ნაკადის შემცირებას ითხოვს. გამოსვლები თითქმის მთელ ესპანეთს მოედო. კანარის კუნძულებსა და მალიორკაზე მრავალი ათასი ადამიანი გამოვიდა. საპროტესტო ტალღამ ბარსელონამდეც მიაღწია, სადაც პროტესტის მონაწილენი წყლის თოფებით იყვნენ შეიარაღებული ტურისტების გასაწუწად. ესპანეთის უზენაეს სასამართლოში საჩივრები შევიდა, ჭარბი ტურიზმი ადგილობრივ მოსახლეობას ცხოვრებას ურთულებსო. მართლაც, კუნძულზე ცხოვრება შეუძლებელი ხდება ბინების გაძვირებისა და ფასების მატების გამო. პლაჟები, კაფე-რესტორნები და თავშეყრის სხვა ადგილები ტურისტებითაა გადატვირთული. პროტესტის მიზანი ჭარბი ტურიზმისა და ტურისტებისთვის ბინებისა და სახლების მიყიდვის შეზღუდვაა. ტურისტები შეძენილ სახლებში მხოლოდ რამდენიმე თვით ცხოვრობენ ან აქირავებენ. რეალიზატორებისთვის ეს ბიზნესია, მოსახლეობისთვის კი გაძვირებული ცხოვრება და მზარდი ფასები უძრავ ქონებაზე. ბევრ ქვეყანაში არსებობს გადასახადი ტურიზმზე ანუ ტურისტი სახელმწიფოს ცალკე ბეგარას უხდის. შემოსული ფული ქალაქების ინფრასტრუქტურაზე იხარჯება [7].

მაშინ, როდესაც ბევრი ქვეყანა ხარჯავს მილიონებს კურორტების განსავითარებლად, ამსტერდამი ყველაფერს აკეთებს, რომ ქვეყანაში ნაკლები ტურისტი შევიდეს. ამსტერდამის ადგილობრივი მო-

სახლეობა ჩივის, რომ მათ ქალაქში ძალიან ბევრი მოგზაური ჩადის: ქუჩებში ძალიან ბევრი ადამიანთა ჯგუფი დადის, კაფეები და რესტორნები გადაჭედილია, შეუძლებელია ბინისა და ოთახის დაქირავება, ხოლო გზებზე გაუთავებელი საცობებია. ნიდერლანდების ხელისუფლებამ დაიკავა მოქალაქეთა მხარე, ამიტომ გადაწყვიტა ტურისტული ნაკადების შემცირება.

ქალაქის ხელისუფლებამ შემოიღო ოფიციალური აკრძალვა... ახალი ოტელების აშენებაზე. ახლა სასტუმრო რომ ააშენო, უნდა მიმართო სახელმწიფო ხელისუფლებას და ნებართვა მიიღო მხოლოდ სამ შემთხვევაში: რომ იქნება ეკოლოგიური, მდებარეობს ამსტერდამის გარეუბანში და დაიხურება ქალაქში რომელიმე ძველი ოტელი...

გარდა ამისა, ნიდერლანდებს სურს გაზარდოს ტურისტული გადასახადი: თუ ადრე მოგზაურები იხდიდნენ სასტუმროს ნომრის ღირებულების 7%, ახლა მოუწევთ 12,5% -ის გაღება. წესი ვრცელდება იმათზეც, ვინც ამსტერდამის პორტებში გემით ჩადის.

თუმცა ტუროპერატორები სთავაზობენ ახალ მიმართულებებს, მათ შორის ამსტერდამშიც, მიუხედავად ამისა, სულ უფრო მეტი ქვეყანა ზრდის ტურისტულ გადასახადებს. სულ ახლახან გახდა ცნობილი, რომ კუნძულ კაპრის ხელისუფლებამ გაორმაგა შესვლის ღირებულება ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნით: ისინი ძალიან უკმაყოფილო არიან იმიტომ, რომ არ შეუძლიათ მშვიდად იქირაონ საცხოვრისი, იმგზავრონ სამსახურამდე ბორნით, ტრანსპორტის გადატვირთვის გამო.

უშველის ეს გზა ტურისტების ნაკადების შემცირებას უცნობია. მაგრამ მთელი სიტუაციის დადებითი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ხელისუფლება დგება ადგილობრივი მოსახლეობის მხარეს და მათ ცხოვრებას უფრო კომფორტულს აქცევს – ეს სასიამოვნოა და ადამიანური.

გარემოს დეგრადაციის ინტენსიურობა, სიდიდე და ხასიათი დამოკიდებულია გარემოზე განხორციელებულ ზეწოლაზე. დადებითი და უარყოფითი ეფექტების არსებობის გამო, შესაძლებელია დამატებით წარმოიშვას ხარჯი ან სარგებელი. დადებითი ეფექტია ტურიზმთან დაკავშირებული დარგებისგან. რომლებიც ხელს უწყობენ ეკონომიკურ განვითარებას და გაწეული დამატებითი მომსახურების შემოსავალი. უარყოფითი გარე ეფექტები არის დამატებითი ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა ველურ ბუნებაზე, საგზაო ქსელზე და ა.შ. მიყენებული ზიანის შედეგად. შესაბამისად, ტურიზმში არსებობს არა მარტო გაცხადებული ხარჯები, რომლებიც საერთოა ეკონომიკური საქმიანობისთვის, არამედ ფარული ხარჯებიც, რომლებიც განვითარებისთვის განსაკუთრებული სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობის ხელიდან გაშვებული შესაძლებლობებია [8].

ტურისტული მრეწველობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მისთვის პირველ რიგში საჭიროა შრომითი რესურსები, განსაკუთრებით ტურისტულ სეზონზე. მაგრამ, შრომითი რესურსები ასევე ესაჭიროება სოფლის მეურნეობას და სხვა დარგებს. ტურისტულ სააგენტოებს შეუძლია მიიზიდოს სამუშაო ძალის ნაკადი, რომლის წყარო სწორედ ამ დარგების საწარმოებია. „სეზონებს შორის“ პერი-

ოდში კი იქმნება პერსონალის სიჭარბე. თავის მხრივ, ტურიზმის განვითარება იწვევს ინფლაციის ზრდას, იზრდება ფასები პირველადი მოხმარების საგნებზე, კვების პროდუქტებზე, ტანსაცმელზე, ტრანსპორტზე, საცხოვრისზე და ა.შ. [9].

ტურიზმის განვითარებიდან მიღებულ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების შესახებ ერთ-ერთი პირველი კვლევა ჩაატარა მექსიკელმა მეცნიერმა ჰექტორ სებალოს ლასკურაინმა [10], რომელიც ითვლება ეკოლოგიური ტურიზმის კონცეფციისა და პრინციპების ერთ-ერთ ფუძემდებლად. მისი აზრით, ასეთი ზემოქმედება იყოფა ორ ჯგუფად– პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი ზემოქმედება გამოწვეულია ტურისტების პირდაპირი აქტივობით და მათი არსებობით განხილულ ტერიტორიაზე. ირიბი ეფექტი დაკავშირებულია ინფრასტრუქტურასა და ტრანსპორტის საშუალებებთან, რომლებსაც ტურიზმში იყენებენ.

ტურისტულმა საქმიანობამ შეიძლება იმოქმედოს გარემოზე როგორც დადებითად, ისე უარყოფითად. ქვემოთ წარმოდგენილია ტურიზმის გარემოზე დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის, ტურისტული საქმიანობის ზოგიერთი სახეობის გარემოზე ზემოქმედების შედარებითი ანალიზი (სურ.); (ცხრ.).



გარემოზე ტურიზმის ძირითადი უარყოფითი ზემოქმედება

ბუნებრივ-რეკრეაციული ტურისტული საქმიანობის კვლევისას ბუნებრივ გარემოსა და ლანდშაფტზე ტურისტების ექსტრემალური დატვირთვის საკითხები უნდა ექვემდებარებოდეს ანალიზს სხვადასხვა მხრიდან, კერძოდ:

- ტურიზმის გავლენაზე გარემოს რეაქცია, ასევე ასეთი რეაქციის დონე და სისწრაფე;
- ტურისტებსა და ბუნების ელემენტებს შორის ურთიერთქმედება;
- ტურისტული დატვირთვების მიმართ გარემოს სტაბილურობის რაოდენობრივი პარამეტრები.

ტურიზმის ზემოქმედება მიმღები ტერიტორიების ეკოლოგიაზე

დადებითი	უარყოფითი
• გარემო პირობების გაუმჯობესებაში პირდაპირი ფინანსური შენატანი, მხარდაჭერა და განვითარება • ზემოქმედების შერბილება ეკოსისტემაზე (ეკოლოგიური სტანდარტების გათვალისწინებით) • მიწათსარგებლობის რაციონალიზაცია; • იშვიათი ეკოსისტემების დაცვა (გამტარუნარიანობის გათვალისწინებით)	• წყლის რესურსების აქტიური გამოყენება სასტუმროების, ტურისტების მიერ უშუალო (პირადი) გამოყენების უზრუნველსაყოფად • მიწების დეგრადაცია და გამოფიტვა ინფრასტრუქტურის მშენებლობის შედეგად • ჰაერის გაჭუჭყიანების გაზრდა საერთაშორისო ტურიზმის მიერ სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის მომატების გამო • ენერგომოხმარების გაზრდა ტურისტული მრეწველობის ახალი ობიექტების ექსპლუატაციაში შეყვანის გამო

ტურიზმის განვითარების გავლენა ნიადაგზე სხვადასხვაგვარია. გარემოზე გავლენის ხარისხის შესაფასებლად საჭიროა აღინიშნოს, რომ ნიადაგის ჩამოყალიბების პროცესი ისეთი ნელია, რომ 2,5 სმ სისქის ნიადაგის შრის ფორმირებას დაახლოებით 500–1000 წელი სჭირდება [11]. შედეგად, ნიადაგის ეროზიამ შეიძლება გარემოსთვის გამოიწვიოს ხანგრძლივი უარყოფითი შედეგი.

ტურიზმმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს წყლის რესურსებზე. ზოგ შემთხვევაში ტურიზმი ნეგატიურ გავლენას ახდენს ველურ ცხოველებზე. მაგ., იშვიათი ფრინველების ნახვის სურვილის გამო, ტურისტები იჭრებიან მათი ბინადრობის ადგილებში. ცხოველები და ფრინველები, მომატებული შფოთვის გამო, იცვლიან ჩვეულებრივი არსებობის წესს, გაურბიან ტურისტული აქტივობის ადგილებს.

ტურიზმს შეუძლია უარყოფითი ზემოქმედება მოახდინოს სანიტარიული პირობების ცვლილებაზე. ეს განპირობებულია ტურისტების მიერ დაყრილი (დატოვებული) ნარჩენებით, რაც გავლენას ახდენს ნიადაგისა და წყალსატევების მდგომარეობაზე, აჭუჭყიანებს გრუნტის წყლებს, იწვევს დამაბინძურებელი ნივთიერებების მოხვედრას ჰაერში და შეუძლია გავლენა იქონიოს ადგილობრივ მოსახლეობაზე. ყველა ზემოჩამოთვლილ ეფექტს შეუძლია ირიბი უარყოფითი გავლენა მოახდინოს ველურ ცხოველებზე, რომლებიც განსახილველ ტერიტორიებზე ბინადრობენ. მნიშვნელოვანია ნეგატიური გავლენის გათვალისწინება, რომელსაც ტურიზმი ახდენს თავის თავზე, რადგან ერთ-ერთი უარყოფითი შედეგი ბუნებრივ ტერიტორიებზე უკონტროლო ტურისტული საქმიანობისას შეიძლება აღმოჩნდეს ადგილობრივი ლანდშაფტების მიმზიდველობის შემცირება.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ თანამედროვე მასობრივი ტურიზმი უარყოფით გავლენას ახდენს არამარტო გარემოზე. ადგილებში, სადაც ხშირად ხვდებიან ტურისტები, წარმოიშობა სერიოზული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. ტურიზმი ადგილობრივ კულტურებს აქცევს მოხმარების საგ-

ნებად. რელიგიური, ტრადიციული ეთნიკური წესჩვეულებები და ფესტივალები ადაპტირებულია, რომ შეესაბამებოდეს ტურისტების მოლოდინს. ზოგ ქვეყანაში ტურისტები უგულებელყოფენ არსებულ ტრადიციებს, მორალურ ღირებულებებს და ნორმებს [12;13].

თანამედროვე ტურიზმი იწვევს სხვადასხვა სოციალურ-კულტურული და ეკოლოგიური პრობლემის წარმოშობასა და გამწვავებას. **ამის თავიდან ასაცილებლად საჭიროა მიღებულ იქნეს სხვადასხვა ზომა. ზომების პირველი ჯგუფი დაკავშირებულია ტურისტების ქცევის რეგულირებასთან.** ეროზიისა და ნიადაგის ჩარეცხვის, ასევე ნაგვის დაგროვების თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია ნაკრძალებში ეკოლოგიური ბილიკებისა და მარშრუტების რაოდენობის შემცირება. საჭიროა ტურისტების გაფრთხილება, რომ იმოძრაონ ბილიკებით, გვერდი აუარონ უბნებს, რომელზეც არ ვრცელდება ადამიანის გავლენა. მხოლოდ სპეციალურად მოწყობილ ადგილებში უნდა იყოს ნებადართული კოცონის დანთება და კარვების ბანაკის გაშლა. აღნიშვნის გარეშე დარჩენილ გზებზე მოძრაობა უნდა შეიზღუდოს. ტურისტებმა, რომლებიც ცხოველებს კვებავენ, უნდა გაითვალისწინონ შემთხვევები, როცა ცხოველები კარგავენ დამოუკიდებლად საკვების მოპოვების უნარს.

ზომების მიღების მეორე ჯგუფი მიმართულია უსაფრთხოებისა და სტანდარტების წესების დაცვაზე, ტურიზმის სფეროს საწარმოების მიერ. ადგილებში, სადაც შენარჩუნებულია ბუნებრივი მცენარეულობა, უნდა აიკრძალოს ტურისტული ობიექტების მშენებლობა. ტურის მონაწილეთა მიერ დატოვებული ნაგვის რაოდენობის შესამცირებლად საჭიროა კონტეინერების განლაგება ნარჩენების შესაგროვებლად მარშრუტებისა და პარკინგების გასწვრივ, რომელთა გატანა სისტემატურად უნდა ხდებოდეს სპეციალური სამსახურების მიერ. უცხოურ პრაქტიკაში დიდი ყურადღება ექცევა დახარისხებული ნარჩენების შეგროვებას, ამავე დროს ორგანული ნარჩენები შეიძლება გადამუშავების შემდეგ გამოყენებულ იქნეს სასუქად.

ყველა პირი, რომელიც მონაწილეობს ბუნებისდაცვით ტურებში – ადმინისტრატორები, ტურისტული სააგენტოების თანამშრომლები, მომსახურე პერსონალი და თვით ტურისტები პასუხისმგებლობით უნდა მოექცნენ სანიტარიული ნორმებისა და წესების დაცვას.

ზომების მესამე ჯგუფი განეკუთვნება ტურისტულ-რეკრეაციული სპეციალიზაციის ტერიტორიის მართვის ორგანოების ქმედებებს. აუცილებელია სისტემური საგანმანათლებლო მუშაობა საზოგადოებასა და ეკოლოგებთან, რათა განემარტოთ ბუნებრივ გარემოზე ტურიზმის ძირითადი უარყოფითი გავლენა. მაგ., შეიძლება დაურიგდეთ ბროშურები/ბუკლეტები იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება შემცირდეს ბუნებაზე უარყოფითი გავლენა.

დასკვნა

ამრიგად, ტურიზმის განვითარებას თან ახლავს როგორც დადებითი გავლენა ეკონომიკურ და სოციალურ მაჩვენებლებზე, ისე უარყოფითიც. ძირითადი დადებითი ეფექტია მოსახლეობის დასაქმებისა და შემოსავლების გაზრდა, უარყოფითი ზემოქმედება – ფასების მომატება საქონელზე, მომსახურებაზე, უძრავ ქონებაზე, რაც, თავის მხრივ, იწვევს სოციალურ პრობლემებს და უხერხულობას ადგი-

ლობრივი მოსახლეობისთვის. გარემოზე ტურიზმის უარყოფითი გავლენის მაქსიმალური შემცირება მიიღწევა საკურორტო-რეკრეაციული ტერიტორიების ეფექტიანი მართვის, ბუნებრივი გარემოს მონიტორინგისა და მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვის საშუალებით.

ლიტერატურა

1. Alam, M. S., & Paramati, S. R. (2016). The impact of tourism on income inequality in developing economies: Does Kuznets curve hypothesis exist? *Annals of Tourism Research, 61*, 111–126. https://doi.org/10.1016/j.annals.2016.09.008IDEAS/RePEc+1Griffith Research Repository+1
2. Brida, J. G., Cortés-Jiménez, I., & Pulina, M. (2016). Has the tourism-led growth hypothesis been validated? A literature review. *Current Issues in Tourism, 19* (5), 394–430. https://doi.org/10.1080/13683500.2013.868414crenos.unica.it+3IDEAS/RePEc+3Taylor & Francis Online+3
3. Al-Mulali, U., Fereidouni, H. G., & Mohammed, A. H. (2014). The effect of tourism arrival on CO_2 emissions from transportation sector. *Anatolia: An International Journal of Tourism and Hospitality Research, 26*, 230–243.
4. Bouzahzah, M., & El Menyari, Y. (2013). International tourism and economic growth: The case of Morocco and Tunisia. *Journal of North African Studies, 18* (4), 592–607.
5. Azam, M., Alam, M. M., & Hafeez, M. H. (2018). Effect of tourism on environmental pollution: Further evidence from Malaysia, Singapore, and Thailand. *Journal of Cleaner Production, 190*, 330–338. https://doi.org/10.1016/j.jclepro.2018.04.168bepress+1Astrophysics Data System+1
6. Lyubarskaya, M. A., & Lyubarskij, A. N. (2016). Economic aspects of tourism development in Russia. *Economics. Law. Innovations, 2*, 12–16.
7. Rukhadze, N. (2024, August 1). Classical tourism countries have turned away tourists. *Republic of Georgia*, 89, 8.
8. Devadze, A., & Grzelishvili, N. (2012). Tourism in Georgia: Situation, problems, perspectives. *Monograph*, 272. Tbilisi.
9. Grzelishvili, N. (2012). Labor resource planning in the tourism sector. *Law and Economics, 4*, 70–76. Tbilisi.
10. Ceballos Lascuráin, H. (1996). *Tourism, ecotourism, and protected areas: The state of nature-based tourism around the world and guidelines for its development*. Island Press.
11. Black Sea Cross-Border Cooperation Programme. (2021). Soil participants booklet. Retrieved from https://blacksea-cbc.net/wp-content/uploads/2021/11/BSB142_BioLEARN_6b_Soil_Participants-Booklet_GE.pdf:contentReference[oaicite:44]{index=44}
12. Grzelishvili, N., & Kvaratskhelia, L. (2023). Perspective of rational use of recreational resources in Georgia. *International Scientific-Practical Journal "Business and Legislation", 1*, 13–70.
13. Grzelishvili, N., & Kvaratskhelia, L. (2022). Tourist-recreational resources (Part One). *Publisher "Mtsignobari"*, 244. Tbilisi.

UDC 338.48
SCOPUS CODE 1409
https://doi.org/10.36073/1512-0996-2025-3-103-113

Aspects of Assessing the Positive and Negative Impacts of Tourism

Nodar Grzelishvili I. Jordania Georgian Center for the Study of Productive Forces and Natural Resources, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 69[a], M. Kostava str.
E-mail: regioni.ge@yahoo.com

Laura Kvaratskhelia I. Jordania Georgian Center for the Study of Productive Forces and Natural Resources, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 69[a], M. Kostava str.
E-mail: kvlaura@mail.ru

Reviewers:

N. Chitanava, Doctor of Economic Sciences ,Academician of the Academy of Agricultural Sciences, GTU
E-mail: n.chitanava@gtu.ge

I. Archvadze, Chief Specialist, Professor at the Central European University I. Jordania Georgian Center for the Study of Productive Forces and Natural Resources, GTU
E-mail: daswreba@yahoo.com

Abstract. The article is devoted to the analysis and assessment of the positive and negative effects of tourism development that accompany it. This sphere of services has a significant impact on the ecological environment and socio-economic development of the receiving territories.

The article analyzes the main positive and negative consequences of tourism, both on the environment of the regions, and on socio-economic indicators of impact. The impact of tourism on the environment is discussed. Based on the conducted studies, specific recommendations are presented in the form of a conclusion, the implementation of which can reduce the negative consequences of tourist and recreational activities. The main content of these recommendations lies in the effective management of resort and recreational areas, regulation of tourist behavior, compliance with sanitary norms and rules by participants in the tourist and recreational services market.

Keywords: Destination; environment; environment; host area tourism; negative consequences; recreation; socio-economic impact; sustainable development.

განხილვის თარიღი 10.02.2025
შემოსვლის თარიღი 21.02.2025
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.2025